



The European Union
for Georgia

Support for Parliamentary Democracy



საქართველოს თავმჯდომარეობის წელი ღია მმართველობის პარტნიორობაში: გლობალური და ეროვნული შესაძლებლობები

ღია მმართველობის პარტნიორობის წარმომადგენლების შეხვედრა ღია მმართველობა
საქართველოს ყველა დაინტერესებულ მხარესთან

პრეს-რელიზი

2017 წლის 5 აპრილს, თბილისში გაიმართა ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) სამდივნოს დირექტორის, ბ-ნი ჯო პაუელისა, და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის დირექტორის, ბ-ნი პოლ მასენის, შეხვედრა ღია მმართველობა საქართველოს ყველა დაინტერესებულ მხარესთან.

შეხვედრა ჩატარდა ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის თანათავმჯდომარეობის - საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ორგანიზებით, საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობითა და ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით.

შეხვედრამ შესაძლებლობა მისცა ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) პროცესში ეროვნულ დონეზე ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარეს - საქართველოს მთავრობას, პარლამენტს, თბილისის მერიას, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს - ერთობლივად განეხილათ საქართველოს ხედვა, გეგმები და მოლოდინები 2017 წლის ოქტომბრიდან საქართველოს OGP-ის მმართველი კომიტეტის თავმჯდომარეობასთან დაკავშირებით.

ღონისძიება გახსნეს ალექსანდრე ბარამიძემ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა, და ირინა ფრუიძემ, ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარემ.

მონაწილეებს სიტყვით მიმართეს ნინა ხატისკაცმა, თბილისის მერის მოადგილემ, და ნინო ლომჯარიამ, გენერალური აუდიტორის პირველმა მოადგილემ.

დისკუსიის მეორე ნაწილში, OGP-ის წარმომადგენლებმა, ჯო პაუელი და პოლ მასენი, ისაუბრეს საქართველოს თავმჯდომარეობის წლის სტრატეგიულ პრიორიტეტებზე ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე. ასევე გაიმართა მსჯელობა OGP-ის წინა თავმჯდომარე ქვეყნების კარგ პრაქტიკასა და სამოქალაქო საზოგადოების როლზე თავმჯდომარეობის წლის განმავლობაში.

დისკუსიის მოდერატორები იყვნენ ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის თანათავმჯდომარეები - ბ-ნი ზურაბ სანიკიძე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, და ბ-ნი გიორგი კლდიაშვილი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) დირექტორი.

საქართველოს მონაწილეობა ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) პროცესში:

საქართველო ღია მმართველობის პარტნიორობას (OGP) 2011 წელს შეუერთდა. მას შემდეგ, საქართველოს მთავრობამ, სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად, არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა გამჭვირვალობის გაზრდის, მოქალაქეების გაძლიერებისა და კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით.

2015 წლის აპრილში საქართველოს პარლამენტი შეუერთდა „ღია პარლამენტის დეკლარაციას“ და გააფორმა მემორანდუმი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ამ დოკუმენტებზე ხელის მოწერით საქართველო გახდა სამხრეთ კავკასიის პირველი ქვეყანა, რომელმაც პარლამენტში ღია მმართველობის პრინციპების პრაქტიკული დანერგვა დაიწყო.

2016 წლის მაისში, საქართველო, საფრანგეთთან ერთად, OGP-ის თანათავმჯდომარე გახდა. ამ კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს, ევალუა გაუძღვეს OGP-ის მმართველ კომიტეტს, განავითაროს და დაიცვას პარტნიორობის ღირებულებები, ინტერესები და პრინციპები. კომიტეტი შედგება 22 წევრისგან (11 მთავრობა და 11 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია).

2017 წლის ოქტომბერში, საქართველო ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე გახდება.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ:

შორენა ანჯაფარიძე, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, +995 577 990284

shanjafaridze@justice.gov.ge

მერი მახარაშვილი, IDFI, +995 599 500137, m.makharashvili@idfi.ge

სოფო ჭიჭინაძე, UNDP საქართველო, +995 599 196907, sophie.tchitchinadze@undp.org